2639
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

კვირა 10, მაისი, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 19 (230). ფასი 30 კაპ.

## საბჭოთა პრესა და მისი წამყვანი გაზეთი

მიმდინარე წლის 5 მაისს 30 წელი შეუსრულდა საკავშირო კომუნისტური პარტიის მთავარ ორგანოს, მთელი საბჭოთა პრესის წინამძღოლ და წამყვან გაზეთს „პრავდას". 1912 წლის 5 მაისს გამოვიდა პირველი ნომერი „პრავდისა", რომელსაც, დიდი ლენინის დავალებით საფუძველი ჩაუყარა დიდმა ლენინელმა, ამხანაგმა სტალინმა.

ლენინური „ისკრის" სახელოვან ტრადიციებზე აღმოცენებული „პრავდა" რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს მოევლინა, როგორც ახალი ტიპის პერიოდული ბეჭდვითი ორგანო, როგორც ლენინ-სტალინის იდეების აგიტატორი და პროპაგანდისტი, როგორც ლენინ-სტალინის იდეების განსახორციელებელ ბრძოლისათვის მშრომელთა მასების დამრაზმელი და ორგანიზატორი. თავისი მაგალითით „პრავდა" ზრდიდა მთელს საბჭოთა პერიოდულ პრესას, თავისი მაგალითით იგი ნერგავდა ჩვენს პრესაში ღრმა ლენინურ პრინციპიულობას, ერთგულებას პარტიისა და ხალხის მტრებთან ბრძოლაში, განუხრელობას და თანმიმდევრობას პარტიის მიერ წამოყენებული ყოველი მნიშვნელოვანი საკითხის ბოლშევიკური გადაწყვეტისათვის ბრძოლაში. თავისი არსებობის 30 წლის მანძილზე „პრავდას" ერთხელაც არ გადაუხვევია იმ პრინციპებისათვის, რომლებიც ბოლშევიკური პრესისათვის გამოიმუშავეს ლენინმა და სტალინმა. „პრავდას" 30 წლის არსებობა არის განუწყვეტელი, დაძაბული მუშაობა იმისათვის, რომ განხორციელებულიყო ამხანაგ სტალინის მიერ ბეჭდვითი სიტყვისათვის დასახული ამოცანა, ბრძოლა იმისათვის, რომ საბჭოთა პრესა ნამდვილად გამხდარიყო ბოლშევიკური პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღი. და მართლაც „პრავდა" პარტიის ხელში ერთ-ერთ უძლიერეს და უბასრეს იარაღს წარმოადგენდა, როცა იგი იბრძოდა სოციალიზმის გამარჯვებისათვის, სტალინური ხუთწლედებისათვის, ხალხთა სტალინური მეგობრობის დანერგვისა და განმტკიცებისათვის, ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და სამხედრო ძლიერებისათვის.

უძლიერეს და მგზნებარე ტრიბუნად გადაიქცა „პრავდა" დიდი სამამულო ომის დღეებში. ორას მილიონიანი საბჭოთა ხალხი დაძაბული ყურადღებით ისმენს „პრავდას" მართალ სიტყვას, რადგან მისი პირით მეტყველებს თვით ბოლშევიკური პარტია, პარტიისა და ხალხის ხელმძღვანელობა. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ უდიდეს როლს პროპაგანდისტისა, აგიტატორისა და ორგანიზატორისას, რომელიც „პრავდამ" სასახელოდ შეასრულა გასული წლის ოქტომბერ-ნოემბრის დღეებში, როცა გაცოფებული ფაშიზმი უშუალოდ მიადგა მოსკოვის კარიბჭეებს და დიდი განსაცდელის წინაშე დააყენა ჩვენი სამშობლოს დედა-ქალაქი. ბოლშევიკური პრესის ტრადიციების ერთგული „პრავდა" ოდნავადაც არ მალავდა მწარე სინამდვილეს—იმ უაღრესად საშიშ მდგომარეობას, რომელშიდაც იმ დღეებში მოჰყვა ჩვენი დედა-ქალაქი და მთლიანად ჩვენი სამშობლო. მაგრამ არასოდეს არც ერთ წერილში არა სჩანდა პანიკისა და შეშინების ნატამალი. პირიქით, რაც უფრო მწვავე და საშიში ხდებოდა მდგომარეობა, მით უფრო მხნედ და მტკიცედ გაისმოდა „პრავდას" მოწოდება მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისაკენ, მტრის მოსპობისა და საბოლოო განადგურებისაკენ.

ყველა საბჭოთა პატრიოტი გრძნობდა, რომ ამ დღეებში „პრავდას" პირით გველაპარაკებოდა და მოგვიწოდებდა თვით ჩვენი ბელადი ამხანაგი სტალინი. როგორც სამართლიანად აღნიშნავს „პრავდას" 30 წლისთავისადმი მიძღვნილ თავის წერილში ამხანაგი მ. ი. კალინინი, „პრავდა" ფრონტის მებრძოლებთან ერთად ბრძოლის ყველა პერიპეტიას განიცდიდა და განიცდის, რომ იგი მუდამ დღე სამამულო ომის აქტიური მონაწილე იყო და არის. ამიტომ მომავალში ფაშიზმზე გამარჯვებული ჩვენი ქვეყნის პატრიოტებმა შეიძლება ყველაზე მეტად „პრავდის" ფურცლების გადათვალიერებით იგრძნონ ჩვენი დიდი სამშობლოს მაჯისცემა სამამულო ომის ისტორიულ დღეებში. „პრავდა" არის უმნიშვნელოვანესი რგოლი, რომელიც აკავშირებს ფრონტს, მის სახელოვან მებრძოლებს ზურგთან, ყველა იმასთან, ვინც ფრონტისათვის მუშაობს, ვინც მთელი სულითა და გულით ფრონტთან ერთად არის და ვინც, როგორც თავის სამშობლოს მოქალაქე და პატრიოტი, მუდამ მზად არის ფრონტის მოწინავე ხაზზე იყოს" (მ. კალინინი).

„პრავდა" სანიმუშოდ ასრულებს ზურგთან და ფრონტთან საბჭოთა მწერლობის, მხატვრული სიტყვის ოსტატების დამაკავშირებელ როლსაც. „პრავდამ" სამამულო ომის დღეებში თავისი ფურცლები ფართოდ გადაუშალა პატრიოტული ცეცხლით აღგზნებულ სიტყვას საბჭოთა მწერლისას. ფრონტზე და ზურგში მყოფი მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები „პრავდას" საშუალებით თითქმის ყოველდღე ესაუბრებიან მილიონიან აუდიტორიას ჩვენი ხალხის უმაგალითო გმირობაზე, იმ თავდადებულ შრომასა და ბრძოლაზე, რომელსაც საბჭოთა ქვეყნის ერთგული შვილები ეწევიან გარეწარ მტერზე გამარჯვების უზრუნველყოფისათვის. სისტემატური თანამშრომლობა „პრავდაში" იდეურად და მორალურად ზრდის და ავაჟკაცებს საბჭოთა მწერლებს.

მისდევს და იცავს რა „პრავდის" ამ შესანიშნავ ტრადიციას, ქართული ყოველდღიური პრესაც თანდათან უფრო მეტ ადგილს უთმობს მხატვრულ სიტყვას თავის ფურცლებზე. არასოდეს საქ. საბჭოთა მწერლობა არ ყოფილა ჩვენი ყოველდღიური პრესის ისეთი აქტიური და ახლობელი თანამშრომელი, როგორც სამამულო ომის დღეებში. ეს თანამშრომლობა უფრო უნდა გაძლიერდეს და გაღრმავდეს, სწორედ ყოველდღიური პრესის მეოხებით უნდა გაუთანაბრდეს მწერლის კალამი მტრის გამანადგურებელ სხვა საბრძოლო იარაღს. აქეთკენ მოგვიწოდებდა და მოგვიწოდებს საბჭოთა პრესის ღირსეული წინამძღოლი და მედროშე „პრავდა" და ჩვენმა მწერლობამ არ უნდა დაზოგოს თავისი ძალღონე იმისათვის, რომ მხურვალე მონაწილეობა მიიღოს 1942 წლის გრანდიოზულ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელსაც უნდა მოჰყვეს ჩვენი სამშობლოს და კაცობრიობის უბოროტესი მტრის — სისხლიანი ფაშიზმის სრული მოსპობა და განადგურება.

* * *

## ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა

### სიმონ ჩიქოვანი

სად გაიწრთვნა, სად გაითალა
სიტყვა მჭრელი და ცხოველმყოფელი!
ხალხის გულისთქმა მან გაიტანა,
გულს გვიკაჟებდა, როგორც მშობელი.

რამდენი გულით იგი დახვავდა,
როგორ ფერავდა სიტყვას მამული!
როგორც ცხოვრება მერმე აჰყავდა,
სიბრძნე ფურცლებზე გადასტამბული.

მას წინაპარი ცეცხლივით ზრდიდა,
მოღწეულიყო სითბო ჩვენამდი
და გაზაფხულის ბაღივით შლიდა
ბრძენი მებაღე, ჩვენი ბელადი.

ეხლა მეომარს ბრძოლაში უძღვის,
გადაბეჭდილი ცისკრის ფერი.
იგი სიმართლეს ღაღადებს ფურცლით,
რასაც ვერ იტყვის ვერავი მტერი.

შეუპოვარი მტრის ზურგშიც იბრძვის,
სად მოინახოს სიტყვა ასეთი?
ლენინისა და სტალინის სიბრძნით
ბრძოლად გასულა ჩვენი გაზეთი.

ამხედრებულა გადაბეჭდილი,
გრძნობა-კი არა, ცეცხლია შიგნი.
სიმართლე არის ომში შეჭრილი
და დროშასავით შრიალებს იგი.

სიტყვავ, შემტევო, გაწვრთნილი აქამდი,
როგორც წინაპარს წრთვნიდა მახვილი,
ეხლაც იელვე, უფრო გაქანდი,
კიდით-კიდიდან გვესმას ძახილი

მტრების ურდოდან ტყვეები მოგყავს,
იარაღი ხარ ბასრი და მჭრელი.
შენ მიუძღვები ბრძოლაში მოყვასს,
რომ დაამკვიდრო სიმართლე ჩვენი.

## ქართული პოეზიის დიდი ტრადიცია-პატრიოტიზმი

### ლევან ასათიანი

### წერილი მეორე.

### 1.

6. ბარათაშვილის მომდევნო ქართველ პოეტებს შორის პირველი და უდიდესი იყო ილია ჭავჭავაძე, ცენტრალური ფიგურა ქართული მეცხრამეტე საუკუნისა, დიდი მოღვაწე და ხელმძღვანელი ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობისა.

ილია ჭავჭავაძის მთელი პოეტური შემოქმედება და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა შეეწირა მშობლიური ხალხის ნაციონალურ აღორძინებას. ამ მხრივ საოცარია მისი პრინციპიულობა და მონოლიტურობა: ილია ჭავჭავაძე, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, ერთი მთლიანი ზოლისაგან იყო გამოკვეთილი. ერთი მთავარი იდეა აცისკროვნებდა ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებას მთელი მისი შეგნებული სიცოცხლის ნახევარ-საუკუნოვან მანძილზე. ამ იდეით არიან დაკავშირებულნი დროის მანძილით ერთმანეთისაგან ისე დაშორებული ნაწარმოებნი, როგორც ილიას ჭაბუკობის ხანის ლექსი „ყვარლის მთებს" (1857 წ.) და უკანასკნელი დროის „ბაზალეთის ტბა" (1883 წ.), მისი ადრინდელი „კაცია ადამიანი?!" (1859 წ.) და უკანასკნელი მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი" (1887 წ.) — ეს მონუმენტალური ძეგლი მე-19 საუკუნის ქართული პროზისა.

ასეთივე თანმიმდევრულად განუხრელი აღმოჩნდა ილია თავის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ შემოქმედებაში: ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ის გააფთრებით ეკვეთა „ცისკრის" კონსერვატორული თაობის მწერლებს, რომ თავისი მკერდით დაეცვა ქართული კულტურის ღირსება და მომავალი. „ჩვენ ჩვენის ენის დამცირებამ დაგვაწერინა ეს სტატია"-ო, ამ სიტყვებით ამთავრებდა ახალგაზრდა ილია თავის პირველ კრიტიკულ წერილს, ამ მარად სახსოვარ დოკუმენტს ჩვენი კულტურის ისტორიაში. ენის დაცვით ილია იცავდა თავისი ერის ნაციონალური აღორძინების ინტერესებს, რადგან, მისი აზრით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული" ენა იყო.

ამის შემდეგ განვლო ორმოცმა წელმა და უკვე მოხუცი ილია ისეთივე პრინციპულობით და შეუპოვრობით შეებრძოლა ნოე ჟორდანიას, და აქაც ილიას პოზიცია იყო პოზიცია პატრიოტი მწერლის, ნაციონალ-რევოლუციური მოძრაობის დიდი მოღვაწისა. თავის დროზე ი. სტალინმა სასტიკად დაჰგმო ნ. ჟორდანიას დემაგოგიური შეტევა ქართველი ხალხის უდიდეს მწერალზე: იგი „არ იზიარებდა „კვალის" ცალმხრივ გალაშქრების ხასიათს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ (ჟორდანიას „პრესა") და მოითხოვდა გარჩეულიყო მისი მხატვრული შემოქმედებაც, რომელსაც დიდად აფასებდა" (პ. დ. საყვარელიძის მოგონებიდან" „კომუნისტი" 1935 წ., 17 მაისის ნომერი).

თავისი შემოქმედებით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით ილიამ აამოძრავა ქართველი ხალხი, მისცა მას ხელში დიდი იდეური იარაღი, გადაუშალა მას დიადი პერსპექტივა ეროვნული აღორძინებისა.

სამშობლოს სამსახურის დიად იდეას შეეწირა მისი ხანგრძლივი სიცოცხლე. ამ იდეისთვის მიიღო მან მოწამებრივი აღსასრული.

განვლეს წლებმა და დღესაც ისეთივე სიძლიერით გაისმის დიდ ილიას ხმა სამარიდან, როგორის სიძლიერითაც იგი ჰქუხდა მის სიცოცხლეში. მისი ლექსები დღესაც აღანთებენ ქართველი ხალხის პატრიოტულ გრძნობას, მშობლიურ ქვეყნისადმი მგზნებარე სიყვარულს, მისი მხნე და ვაჟკაცური ოპტიმიზმი დღესაც აღაფრთოვანებს სამშობლოსათვის მებრძოლ ქართველ ხალხს. აი როგორ გვარიგებს ილია საფლავიდან: „ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული, ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედ-გადაწყვეტილს, სასოება-დაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავს-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი" (1890 წ., ტ. 10, გვ. 54).

იმავე ილიას ხმა სამარიდან გაისმის დღეს ქართველი ახალგაზრდობის საყურადღებოდ და საგულისხმოდ, როგორც დიადი მოწოდება:

„მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი,
სჯობს საშოვნელსა ყველასა".

ილია ჭავჭავაძე ჩვენს თაობასთან ერთად მხარ-და-მხარ იბრძვის ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

### 2.

მესამე გოლიათი მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურისა იყო აკაკი.

ქართველი ხალხის წარმოდგენაში განუშორებელია ერთმანეთისაგან ილიას და აკაკის სახელი, ისე, როგორც რუსი ხალხისათვის სახელები პუშკინისა და ლერმონტოვისა, გერმანელი ხალხისათვის — გოეტესი და შილერისა. და ეს აღნიშნა კიდეც ილიასთან გამოსათხოვარ სიტყვაში მოხუცმა აკაკიმ: „მშვიდობით, ძმაო! — უთხრა მან, — გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე, ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით!"

მაგრამ აკაკის მნიშვნელობა, ისევე, როგორც ილიასი, ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში სცილდება ლიტერატურის ფარგლებს: ორივენი უდიდესი პოლიტიკური ფიგურები იყვნენ თავიანთი დროისა. მათი პოეზია პოლიტიკური პოეზიის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენდა, ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლება,—აი რა იყო მათი პოეზიის დევიზი.

აკაკისაც ისეთივე პრინციპულობა ახასიათებდა დასახულ მიზნისათვის ბრძოლის საქმეში, როგორც ილიას. მაღალი პატრიოტიზმით არის აღგზნებული აკაკის ლექსები და პოემები, მოთხრობები და კრიტიკული წერილები, პუბლიცისტური და მემუარული ხასიათის ნაშრომები. აკაკი პატრიოტი იყო თავის კერძო ცხოვრებაშიაც: მეგობრობაში, უცხო ადამიანებთან შეხვედრასა და ურთიერთობაში სტუდენტობისას ის ეცნობა და უახლოვდება ილია ჭავჭავაძეს, და მათი მეგობრობა მტკიცდება ჰანიბალის ფიცით, რათა ერთად სჭედონ მომავალში ახალი საქართველოს ბედი. ჯერ კიდევ ჭაბუკი აკაკი ხვდება უდროოდ მოხუცებულ ტარას შევჩენკოს და ეს შეყრა ატარებს ორი დიდი ხალხის ისტორიული შეხვედრის ხასიათს: მათი საუბარი, რომელიც გრძელდება გათენებამდის, თავს დასტრიალებს დამონებული უკრაინისა და საქართველოს ცხოვრებას. პეტერბურგში აკაკი ესწრება ნეკრასოვის დასაფლავებას და სამარემდე მოწიწებით მიაცილებს „ხალხის ვარამის" მომღერალ მგოსნის ნეშტს, რადგან ეს თავის პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნია. ამავე დროს ის სასტიკად ამხელს და კიცხავს რეაქციონერსა და მეფის აგენტს—რუს პოეტს ველიჩკოს, და ესეც თავის პატრიოტულ ვალდებულებად მიაჩნია. ის დაუნდობლად ებრძვის სომხის შოვინისტურ ინტელიგენციას და იმავე დროს ნაზი მეგობრული სიყვარულით უახლოვდება და ლექსებს უძღვნის სომეხთა დიდ დრამატურგს გ. სუნდუკიანცს. აქაც აკაკი რჩება პრინციპიალურ პატრიოტად.

თავისი პატრიოტიზმი საუკეთესოდ გამოხატა აკაკიმ ლექსში:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა"...

აკაკი ძალიან შორს იდგა ვიწრო შოვინიზმისაგან. „სულითა და გულით ქართველი ვარ, პატრიოტი, — სწერდა ის ერთ სტატიაში, — სამშობლოს კეთილწარმატება მიტომ მენატრება, რომ ის პირნათლად, მჭიდროდ შეუკავშირდება ფერადოვან მსოფლიოს... სასწორმხედველო პატრიოტობას უტყუარი ბუნება მოითხოვს და თვალდამდგარ შოვინისტობას კი—ეგოიზმი, უმართლო თავმოყვარეობა".

აკაკი მეტად დიდსა და საპატიო ამოცანას უსახავდა ლიტერატურას: „მწერლობა არის უძლიერესი და უპირველესი იარაღი, რომელიც სიმართლით უნდა ილესებოდეს და უსუსტრად იხმარებოდეს სამშობლოს საკეთილდღეოთ",—ასწავლიდა იგი ახალგაზრდა პოეტებს.—„რა არის მგოსანი და რად ღირს მისი მწერლობა, თუ იმავე დროს საზოგადო მოღვაწეც არ არის?" ეკითხებოდა აკაკი თავის თანამოკალმეებს.

აკაკი ყოველი ადამიანისაგან მოითხოვდა ხალხის სამსახურს, მისი დღევანდელი ცხოვრების წარმატებისათვის ზრუნვას: „ყოველი კაცი აწმყოს უნდა მისდევდეს და აწმყოს კეთებაში იქნება მომავლის სამსახურიც,—სწერდა იგი.—ვისაც აწმყოში წილი არ უდევს, იმას მომავალი აღარ ერგება და არც წარსულს უნდა ეპოტინებოდეს".

აკაკის პატრიოტიზმი ქმედითი, მებრძოლი, ოპტიმისტური ხასიათისა იყო. საქართველო მან შეადარა მიჯაჭვულ პრომეთეს და გამოსთქვა ურყევი რწმენა მისი განთავისუფლებისა: „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი". აკაკი იყო გაერთიანებულ საქართველოს მომღერალი, მან შესძლო მთელი ქართველი ხალხის გამსჭვალვა ამ დიადი იდეით და მისი ამღერება შესანიშნავი ლექსით:

„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო —
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები"... და სხვ.

აკაკი მთელი თავისი შემოქმედებით ხალხს ეკუთვნოდა. ხალხმა თავისი იდეალების გამოხატულება ჰპოვა მის მაღალპოეტურ ნაწერებში. აკაკის შემოქმედების მნიშვნელობა საუცხოვოდ შეაფასა თვით პირველმა და უდიდესმა ქართველმა პატრიოტმა ილიამ შემდეგი სტრიქონებით: „აკაკი ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით... ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის... აკაკის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაიჩენს სამუდამო სახსოვრად... მისი მშვენიერის ლექსებით არაერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის შვილობისათვის"...

ილია ჭავჭავაძემ ამ სიტყვებით გამოხატა მთელი ქართველი ხალხის აზრი თავის საყვარელ მგოსანზე, რომელმაც საოცარის არტისტიზმით შეაერთა თავის პიროვნებაში პოეტისა და მებრძოლის ტემპერამენტი. ეს იყო სალამურისა და ხანჯლის ძმობა და აკი უძღვნა კიდეც აკაკიმ მათ შესანიშნავი ლექსები, სადაც პოეტმა ორივეს სამშობლოს ერთგული სამსახური დაავალა.

### 3.

უკანასკნელი ბუმბერაზი მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიისა იყო ვაჟა-ფშაველა, ქართველი ხალხის მიერ მთის არწივად წოდებული. ეს სახელი სავსებით შეეფერებოდა ვაჟას შემოქმედების მკაცრ სიდიადეს.

ვაჟა-ფშაველამ ქართულ პატრიოტულ პოეზიას გმირულ-ჰეროიკული ელფერი შემატა. და ეს სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობდა ვაჟას მსოფლმხედველობიდან, მისი მხატვრული და ფილოსოფიური კონცეპციიდან.

თავისი პოეტური ცხოვრების აზრი და მნიშვნელობა ვაჟამ სურათოვანი შედარებით გამოხატა ახალგაზრდა მგოსნებისადმი მიძღვნილ სიმღერაში:

„ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, —
მძინარიც იმას ვდუდუნებ!"

მშობელი ქვეყნისადმი თავისი დამოკიდებულება ვაჟა-ფშაველამ უფრო მკვეთრად გამოსთქვა სხვა ლექსში:

„ჩემის კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენგან ნაშობი ოცნება
გულს შენთად გაიყარეო!"

ვაჟა, როგორც ადამიანი და შემოქმედი პიროვნება, წარმოუდგენელია იმ დიადი გრძნობის გარეშე, რასაც სამშობლოს სიყვარული ეწოდება. ამ გრძნობით არიან გაჟღენთილნი მისი უკვდავი პოემები, მისი ვაჟკაცური სიმღერები.

ქართულ პატრიოტულ პოეზიაში ვაჟამ მოიტანა მთის ბუნების ზვიადობა და აგრეთვე მთის ხალხის რაინდული სული. ფოლადის სიმტკიცით და ვაჟკაცური გაუტეხლობით არის გამსჭვალული მისი ლექსები, მიძღვნილი სამშობლოსადმი.

თავისი დროის საქართველო ვაჟა-ფშაველამ შეადარა ყვავ-ყორნებთან მებრძოლ დაჭრილ არწივს, რომელსაც [illegible] სწადია, ძალა აღარა ჰყოფნის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მრისხანედ ემუქრება მაინც თავის უღირს მტრებს. ვაჟას დიდებული პოემის „სტუმარ-მასპინძლის" გმირი ზვიადაური, მტრების მიერ შეპყრობილი, სიკვდილის ჟამს შეუპოვრად და უტეხი ჟინიანობით იმეორებს: „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!" და ეს ფრაზა ვაჟას პოემაში გაისმოდა, როგორც წაქცეული და საბოლოოდ განწირული, მაგრამ მაინც გაუტეხელი საქართველოს სახელით წარმოთქმული, სიძულვილით ალსავსე შეძახილი თავისი მოსისხლე მტრების მიმართ.

ქართველი ხალხის მაღალი პატრიოტული სულის გამომხატველია ვაჟას პოემა „ბახტრიონი". ვაჟა-ფშაველამ გასაოცარის სიღრმით დაგვიხატა ამ პოემაში ჩვენი ხალხის თავდადებული ბრძოლა გარეშე მტრებთან. თუშ-ფშავ-ხევსურთა ბელადები ზეზვა, ლუხუმი, სუმელჯი, გმირი კვირია, მოხუცი დედაბერი სანათა, ახალგაზრდა ქალი ლელა ვაჟამ გამოაქანდაკა დიდი მხატვრული შთაგონებით, როგორც უკვდავი სახეები მშობელი ქვეყნისათვის მებრძოლი გმირებისა.

საქართველოს მომავალი ვაჟას ბრწყინვალე ფერადებით ეხატებოდა: „რომ ეს არა მწამდეს, თქვენ გგონიათ, მე კალამს ავიღებდი ხელში? ურწმუნოთა შრომა ამაოა, შეუძლებელიც. მგონია: იმ ხიდს, რომლის გადებაც მუშამ შეუძლებლად იცნო, თავის დღეში გადასადებად არ შეუდგება". ასე სწერდა ვაჟა. და მან შესძლო ამ ხიდის გადება, რომლითაც თავისი შემოქმედება სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს მომავალს, ქართველი ხალხის მთელ შემდგომ ისტორიას.

მაგრამ ვაჟა-ფშაველა, ისევე, როგორც ყველა გენიოსი პოეტი, თავისი შემოქმედებით დაკავშირებული იყო თანამედროვეობასთან თავისი ხალხის მიმდინარე ცხოვრებასთან. ღრმა პატრიოტული შეგნება უკარნახებდა მას, რომ თანადროულობის სამსახური ნიშნავდა ხალხის მომავლის სამსახურსაც. „პოეტნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი,—სწერდა ვაჟა,—რომელნიც ეროვნულ რეალურ თუ გონებრივ ღირებულებას ჰქმნიან, უნდა იყვნენ გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის. დღევანდელი ხალხი, ცალკ-ცალკე და საერთოდ, საჭირო აზრით და გრძნობით აღიჭურვოს. მოქმედებაც თვითეულის ჩვენგანისა იყოს აზრ-შეწონილი. დღევანდელს თვითეულის ჩვენგანის მოქმედებას უნდა აქ მივყავდეთ, საცა საჭიროა ჩვენი მისვლა... ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულს მომავალსა ჰქმნის... მომავალიც იმისია, ვინც აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურება" (თხზ., ტ 3, გვ. 458).

ვაჟას პატრიოტიზმი ესმოდა, როგორც მშობელი ხალხის სამსახური ფართო გაგებით: პატრიოტიზმი იყო ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლა, პატრიოტიზმი იყო ხალხის სოციალური ინტერესებისათვის ბრძოლა.

ვაჟას პატრიოტული ლირიკა, ისე, როგორც მისი უკვდავი პოემების ციკლი, გამთბარი სამშობლოსადმი სიყვარულის მგზნებარე ცეცხლით, ახალსა და უფრო ღრმა მნიშვნელობას ღებულობს ჩვენი თანამედროვე თაობის თვალში, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დღევანდელ გამძაფრებულ მომენტში.

დიდი სამამულო ომის დღეებში ცეცხლოვან მოწოდებად გაისმის ვაჟას სტრიქონები:

„თავის ადგილის გულისად
მოკვდით და დაისაჯენით,
დასცვე-დაფარეთ ქვეყანა
თავის ოფლით და მარჯვენით,
მტერი ვის გაუბრუნებავ
მალულაობის ჩადენით?"

ვაჟა-ფშაველა მოითხოვს თვითეული ქართველისაგან „არ ვაქელინოთ სამშობლო მეტოქეს ათასგვარასა". მას ღრმადა სწამს, რომ „უფლის კურთხევა ანთია სამშობლოს მცველის ფარზედა". მისი აზრით, მხოლოდ მტკიცე ერთობა და გამტანობაა საწინდარი და აუცილებელი პირობა მტერზე გამარჯვებისა: „უდრეკლობაა მუდამა მტრის დამარცხების წამალი".

ვაჟა-ფშაველას დიდ პატრიოტულ ანდერძში, ბოლოს, სამახსოვროა ის დაუნდობელი სისასტიკე, რომლის გამოჩენასაც პოეტი მოითხოვს სამშობლოს მტრების მიმართ. ეს ანდერძი ვაჟამ გამოსთქვა გმირ ზეზვას პირით ბახტრიონის ციხის აღების წინ:

„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,
ჩვენ შავიბრალოთ რისადა?
სიკვდილი თვითონ უფალსა
გაუჩენია მტრისადა!"

ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა 1915 წელს, გერმანიასთან ომის სასტიკ დღეებში. მას საფლავის კარამდე მიაცილებდა შორეულ საზღვრებიდან მოსული ზარბაზნების მრისხანე გრუხუნი. დიდ პოეტს, დიდ ქართველ პატრიოტს დარდად წაჰყვა „შავეთში" თავისი სამშობლოს ბედისათვის მწუხარე ფიქრი. „ნეტავ თუ დაგვიფასდება ქართველთა შვილებს ამაგი, არ იქცა საყოვ-ყორნედა ჩვენი ლამაზი ალაგი",—სწერდა ის თავის უკანასკნელ ლექსში „ფშაველი ჯარისკაცის წერილში".

მას შემდეგ განვლო ოცდაშვიდმა წელმა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში კვლავ შეჯვარებულ იქნა საბჭოთა კავშირის ხალხთა დაშნა ფაშისტური გერმანიის სისხლიან დაშნასთან. მოძმე ხალხებთან ერთად საქართველოც თავგანწირულად იბრძვის დაუნდობელ მტერთან თავისი ღირსებისა და თავისუფლებისათვის, და დღევანდელ ქართველ ახალგაზრდა თაობას ამაყად შეუძლიან მიმართოს ვაჟა-ფშაველას დიად აჩრდილს მისივე ლექსის სტრიქონებით:

„სამშობლოს ბედნიერება
არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა,
ნაღდს ვაძლევთ ჯანს და სიცოცხლეს, —
ნამუსი დავიცავითა"...

და ამის მრავალმეტყველი მოწმენი არიან უკრაინის გაშლილი ველები, ყირიმის მწვანე სანაპიროები, მოსკოვისა და ლენინგრადის თოვლიანი მისადგომები, — ყველა ის ადგილები, სადაც შეუპოვარსა და სასტიკ ბრძოლებში იჭედება საქართველოს და მისი მოძმე ხალხების ბედი, ბედი მთელი კაცობრიობისა.

## ჩანგი

### სვანური ბალადა

### ალიო მაშაშვილი

სვანეთის მთებში, სადაც ენგური
ჰქუხს, ვით ბუნების მძლავრი ნაღარა,
ეხლაც შეხვდებით ერთ მეჩანგურეს,
ხალხში უწოდეს მახვში[1] ჭალარა.

მარტოდ მარტოა წყნარი, კეთილი,
დაკეტილია კოშკის კარები,
ჩანგს დაღუღუნებს გულდაწყვეტილი,
დადის კარიკარ, როგორც ყარიბი.

მას შვილი ჰყავდა, ოჯახის ბურჯი,
და ერთად-ერთი მისი ნუგეში,
ხელებს უწვდიდა ვარსკვლავებს ურჩი
ლაღად შესული სიჭაბუკეში.

მკვიდრს ეტყობოდა მამის იერი,
მზის და სიცოცხლის ეშხით ვნებული,
ტანად ზრდილი და პირმშვენიერი
ულვაშებ ოდნავ ამწვანებული...

ერთ დღეს აფეთქდა ცეცხლად საზღვარი,
მძიმე გუგუნით იძრა ხმელეთი,
საზღვარს მოაწვა ბრბო ათასგვარი
ტყვიის წვიმით და სისხლის ღელეთი.

ადგა, აშფოთდა მოსახლეობა, —
მოდის ენგურის ტალღა ხმოვანი,
მოხუცსაც ერჩის გულში მხნეობა,
ხმალთან მიიჭრა ტანახოვანი.

იხმო ჭაბუკი, შემწედ ირჩია
მასთან შეზრდილი, როგორც მარჯვენა,
უთხრა: სამშობლო გასაჭირშია,
ვაჟკაცს არ ჰშვენის სახლში დარჩენა.

მტერს არ დავუთმოთ ეგ საამსოფლო,
აყვავებული მთით და მწვანეთი —
სამშობლო, ჩვენი დედა-სამშობლო,
და საქართველოს თვალი—სვანეთი.

ბარში დაეშვნენ ხმლების წკარუნით,
ლილეოს ხმაზე გრგვინავს ნაღარა,
ისმის ფლოქვების მწყობრი თქარუნი,
დროშას მიარხევს მახვში ჭალარა.

გზა გაიარეს მთით და ბარიბარ,
მტრებს შემოსეულს შეხვდნენ გმირულად,
დაჰკრეს ხმალი ხმალს, დასცხეს ფარი ფარს
წინ მიიწევენ თავგანწირულად.

შვილიც შეიჭრა ცეცხლში ხმლიანად,
ხმაგამყივანი გმირებს უკივის,
ცხენს დასტრიალებს ომახიანად,
თმა ეკიდება მხრებზე შუქივით.

ჰკაფა და ჰკაფა მტერი ურჯულო,
ბევრი შეაკრთო და შეაჩვენა...
ბოლოს დაეცა პირგალურჯული,
ჩამოაცალეს მკლავი მარჯვენა.

ვაით, ბუბუნით მოვარდა მამა,
პირქვე დაემხო წელ-მოწყვეტილი,
შვილს ცხარე ცრემლი ეცემა ნამად
მშობლიურ ციდან ჩამოწვეთილი.

უკვე სიცოცხლის გათავდა დრო და
ყელს მოეხვია სიკვდილის ალი,
სიბნელე ძრწოდა, ჯერ კიდევ თრთოდა
ვაჟკაცის მკლავთან შეზრდილი ხმალი.

ხმლითვე გათხარა აკვანი მიწის,
შიგ ფრთხილად ჩასვა და ჩაეკონა,
მას დარჩა, როგორც ხსოვნა და ფიცი,
შვილის მარჯვენა და თმების კონა.

ცრემლის ემბაზში დაალბო თმები,
მკლავზე ააწყო უწყვეტ სიმებად,
თითქოსდა შვილის ანკარა ხმები
აჰყვა სიმების აციმციმებას.

მკლავიც გაცოცხლდა ჩანგად-ქცეული,
გმირებს მოუხმობს ელვის-ხმლიანი,
ბედკრულს დასტირის დარდით სნეული,
ჩანგიც ღუღუნებს ხმა-ნაღვლიანი.

---

[1] მახვში—ოჯახის უფროსი, წინამძღოლი.

## ახალი წიგნები

### „ორი ნოველა"

სახელგამმა გამოსცა კ. გამსახურდიას ორი ნოველა: „ქართული ჩაბალახი" და „ხუთასი ბოლნისელის ამბავი". პირველი მათგანის თემაა სამამულო ომი.

### „ბელადი" სომხურად

სომხურ ჟურნალში „სოვეტაკან გრაკანუთიუნ" დაიბეჭდა კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადი". თარგმანი ეკუთვნის სურენ ავჩიანს.

### ლ. მაირანოვსკის „ბათუმის დემონსტრაცია"

ბათუმის დემონსტრაციის 40 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით მოსკოვში გამოვიდა ლ. მაირანოვსკის წიგნი „ბათუმის დემონსტრაცია". წიგნი პოპულარული და ფართო მკითხველისთვის მისაწვდომი ფორმით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ჩაატარეს ამ 40 წლის წინად ბათუმის მუშებმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ერთ-ერთი უძლიერესი დემონსტრაცია, რომელმაც ბრძოლისათვის ფეხზე დააყენა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა მასები. წიგნში აღწერილია ბათუმელი მუშების ცხოვრების პირობები იმ დროს. მოთხრობილია აგრეთვე, თუ როგორ ჩაუყარა ამხანაგმა სტალინმა საფუძველი ლენინურ-ისკრული მიმართულების მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ბათუმში.

## „აბდულ მესია" რუსულ ენაზე

პროფ. შალვა ნუცუბიძემ დაამთავრა შავთელის „აბდულ მესიას" თარგმნა რუსულ ენაზე.

სამშაბათს, 12 მაისს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში ამხ. შ. ნუცუბიძე წაიკითხავს თავის ამ ახალ თარგმანს. კითხვას წაუმძღვარებს მთარგმნელის შესავალი სიტყვა თემაზე „შავთელი და ქართული რენესანსი". დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლ ა კ ა დ ა

### შალვა დადიანი

მკითხველს ვთხოვ, ზემოაღწერილ სიტყვის პირველი ასო „ლ“ მეგრულად შეარბილოს და ისე წაიკითხოს. ამითი ამ ლამაზ სიტყვას შეენახება თავისი ადგილობრივი სურნელება.

თვითონ სიტყვა „ლაკადა“ მეგრულად მთაგორიან კუთხეს ჰქვიან და ამიტომაც ეს სახელი ეწოდება მთიან ზემო სამეგრელოს.

საერთოდ ჩვენი მწერლობა და განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურა ჩვენი რესპუბლიკის ამ ერთ-ერთ უტურფეს მხარეს, სამწუხაროდ, ნაკლებად იცნობს და მიტომაც, როდესაც სამეგრელოზე ჩამოვარდება ლაპარაკი, თუ კი ვინმე ლაკადაში ნამყოფი არ არის, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სამეგრელო მთლად ჭაობიანსა და ხაშმიან ადგილს წარმოადგენდეს.

ეს კი იმიტომ ხდება, რომ მწერლების დიდი უმეტესობა იცნობს მხოლოდ ჭალადიდს და მის მიდამოებს, რადგანაც იქ ადვილი მისასვლელია — ამ დაბლობს რკინის გზა ჩაუდის. მერმე კიდევ იქ ჩვენი ეპოქა აწარმოებს უდიდეს სამუშაოებს ჭაობების ამოშრობისათვის და ჩვენი ლექსიც მხოლოდ ამ დაბლობში ახლად აღმოცენებულ ევკალიპტებსა და მანდარინებში შარიშურობს, ჩვენი პროზაც ლაქაშებს შორის მდ. კაპარჭინას ნავით დაძვრება.

რაღა თქმა უნდა, დიდად საჭიროა ავსახოთ ეს სამუშაოები სამეგრელოს დაბლობში, სადაც ხალხმა, პარტიამ და ხელისუფლებამ დამყაყებული ჭაობიანი ფართობი რაღაც ორიოდე წელიწადში სასწაულებრივ ბაღნარად აქცია. მაგრამ ვისაც სურს სამეგრელოზე მთლიანი და სრული წარმოდგენა იქონიოს, უნდა ავიდეს მთიან და გადასახედიან ლაკადაში და ისუნთქოს იქაური მამრთელებელი ჰაერი.

მართალია, საქართველოს მომხიბლავ ბუნებაში გაჩვეული თვალი ახალს იქ თითქო ვერაფერს ნახავს: იქაც მთებია „თოვლიან-ყინულიანი“, მის ბოლოში მწვანე ტყეები წიწვიანი და სხვა გამოსადეგი ჯიშის ხეებისა, მათ შორის ძვირფასი და უხვი მადნეული, სამკურნალო წყლები, მოჩქრიალე, ლაჟვარდოვანი მდინარეები, ღობილოებზე შეფენილი მაღლარის ვაზი. კოინდრიან ეზოებში უცხო რაზმებად ჩამწკრივებულან ხეხილნარი და დაბლარი, კოხტა მეგრული ოდები, აქა-იქ ისლით გადახურული ჯარგვალიც თავისებურის მოხდენილ კარაპანებით. რაიონის ცენტრებში კი შეხვდებით ორ-სამ სართულიან ქვიტკირის სახლებს, განკუთვნილს სკოლებისათვის, სამკურნალოებისათვის, კლუბებისათვის და სხვა საზოგადოებრივ და ადმინისტრატიულ დაწესებულებებისათვის.

როგორც ხედავთ, აქ თითქო ახალი არაფერია, მაგრამ ისე კი დიდად განსხვავდება ლაკადის მდიდარი ბუნება საერთოდ ოდიშის დაბლობისაგან.

მთავარი: აქ ვერ ნახავთ ციებისაგან ჩამოყვითლებულ სახეებს, ტყირპისაგან მუცელ-ჩამოსიებულ ხალხს. აქ ყველა ფერზეა, მაღალია, წარმოსადეგი, ტან-წერწეტი, სხეულმოქნილი, სახიერი, მიხვრა-მოხვრით ცქვიტი და საქციელ-მდიდარი. ტკბილ-მოუბარი და მხატვრული სახეებით მეტყველი.

თვითონ ბუნებას რომ მივუბრუნდეთ, განსხვავებას სხვა ჩვენ კუთხეებთან იმაში დავინახავთ, რომ ეს ბუნება უფრო ნაზია, თითქო ლმობიერი, მიმზიდველი და „სულში ჩამძვრომი“, როგორც აქაური „ლარჭები“-ს (სტვირის) მიერ გამოცემული ნარნარი ბგერა ან ჩონგურზე დამღერებული მეგრელი ქალის ოსტატური სიმღერა.

შეიძლება ვისმეს ეგონოს, რომ მე ლაკადის საერთო აღწერას ვაპირებდე. ეს საპატიო საქმე არ ეკისრება ამ წერილს. აქ უფრო მნიშვნელოვანი, მაგრამ ვიწრო ფარგლით არის შემოზღუდული ჩემი თემა.

ამ წერილს ევალება — პაწია ანგარიში წარუდგინოს მკითხველს.

ეს ანგარიში შეეხება მწერალთა ერთ ბრიგადას, რომელმაც გასული აპრილის დამლევს მოინახულა ლაკადის ერთი ნაწილი.

ბრიგადაში შევდიოდით ოთხნი:

ორგზის ორდენოსანი პოეტი ალიო მაშაშვილი, ორდენოსანი პოეტი კარლო კალაძე, მწერალი სიმონ წვერავა და მე.

ჩვენი მარშრუტი ესეთი იყო: წალენჯიხა, ჩხოროწყუ და ზუგდიდი, სადაც გავმართეთ სამ-სამი ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამო.

ყველგან ხალხით სავსე იყო დარბაზები, ზოგან სივიწროვის გამო, შენობა მსურველებს ვერ იტევდა.

აქ იყვნენ უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეები, ინტელიგენტური შრომის ადამიანები, მოსწავლე ახალგაზრდობა და პარტაქტივი.

აუდიტორიის გულისხმიერება კი ყველგან ისეთი დიდი იყო, რომ ხშირად საღამოს დასრულების შემდეგ ხალხი არ იშლებოდა და თხოულობდა, რომ მწერლებს კიდევ სხვა რამეებიც წაეკითხათ თავიანთ ნაწარმოებებიდან.

ზოგჯერ პირდაპირ შეუკვეთდნენ ხოლმე, მაგ., ალიო მაშაშვილს — ესა და ეს შენი ლექსი წაგვიკითხეო.

ამითი მიხვდებით, თუ რა გულთბილ შეხვედრას გვიწყობდნენ ყველას.

თვით ადგილობრივნიც ღებულობდნენ ზოგჯერ საღამოებში მონაწილეობას: გამოდიოდნენ სიტყვებით, ლექსებით. ასე იყო წალენჯიხაში, ხაბუმეში და სხვაგან.

ხშირად საღამოების შემდეგ შემოგვეხვეოდა მსმენელთა ჯგუფი და განვაგრძობდით ინტიმურ საუბარს ქართული მწერლობისა და საერთოდ საბჭოთა ლიტერატურის გარშემო. საჭირო და აუცილებელია ხალხთან ახლოს ყოფნა: უშუალოდ გრძნობ მის თანაგრძნობას, გამხნევებას და შენცა აღფრთოვანებას ეძლევი.

ჩვენი ბრიგადის ეს მოგზაურობა ლაკადაში ერთხელ კიდევ იმის დამამტკიცებელია, თუ პარტიამ და ხელისუფლებამ, დიდი სტალინის ბრწყინვალე ეპოქამ ამ მხრივაც როგორ გაზარდა ხალხი, როგორ გაათვითცნობიერა.

მოგეხსენებათ, ერთ დროს სამეგრელოში მოგზაურობისას ილია ჭავჭავაძემ სთქვა:

„სამეგრელოში ვიყავი და საქართველო ვნახე!“

ეს იმ დროს თითქო მოულოდნელი იყო ქართველი ხალხის ისტორიული დაქსაქსულობისა და მაშინდელი ცარიზმის უხეში კოლონიალური პოლიტიკის გამო, და ყველა ამის ღრმად მცოდნე ილიას სწორედ ათქმევინა ერთის შეხედვით ეგეთი უცნაური სიტყვები.

დღეს კი ჩვენ, მწერლები, ვიყავით ლაკადაში და იქ არამც თუ მარტო საქართველო ვნახეთ, არამედ ვნახეთ გულ-მხურვალე საბჭოთა პატრიოტები, სრული შემგნენი თავიანთი საერთო მოქალაქეობრივი მოვალეობისა და იმავე დროს დიდი პატივისმცემელნი მხატვრული მწერლობისა.

აქაც ერთხელ კიდევ დამტკიცდა ის, თუ რა დიდი რეზონანსი აქვს ხალხში ქართულ საბჭოთა მწერლობას და ამან უფრო უნდა გაამახვილოს ჩვენი კალმის ოსტატობა და პასუხისმგებლობის გრძნობა ჩვენს შემოქმედებაში.

საშიშარი აქ ერთი იყო: გახურებული თესვის კამპანიის დროს მოვხვდით ამ მხარეში და შესაძლებელი იყო ჩვენ გამოსვლას შეეფერხებინა მათი მუშაობა, მაგრამ ადგილობრივ ხელმძღვანელთაგან ისე დაკვირვებით და მოფიქრებით იყო შერჩეული დრო და ალაგი ჩვენი გამოსვლებისა, რომ ეს არ დასტყობია არც მათ სამუშაო საათებს და არც ჩვენს საღამოებს.

პირიქით: როგორც ზევითაც დაინახავდით, ჩვენი საღამოები ადგილობრივი აუდიტორიის მიერ მიჩნეულ იქმნა სასარგებლო და სამურ მოვლენად, რადგან ამას დაერთო მთავარი — თესვის დიდი წარმატებით დამთავრება წალენჯიხის რაიონში.

აპრილის 25-ს სწორედ წალენჯიხაში ვიყავით და გვიხაროდა, რომ ეს მშვენიერი ამბავი თბილისზე ადრე ჩვენ უკვე ვიცოდით.

ასეთსავე მოწინავე რიგებში დგას თესვის საქმეში ჩხოროწყუს რაიონიც.

ასე რომ ამჟამად მთელი ლაკადის გამოსადეგი ფართობი უკვე გადახნულია და ყველგან თესვა მთავრდება. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟკაცების დიდი ნაწილი სოფლებიდან გაკრეფილა, წასულა ბრძოლის ველზე, დიდ სამამულო ომში თავისი წმინდა, მოქალაქეობრივი მოვალეობის ღირსეულად შესასრულებლად, ზურგში მათ შენაცვლებია მათი მომდევნო თაობა, ქალები და ხანდაზმულები.

მოდიოდნენ წინადადებით, რომ მოგვენახულებინა სხვა კოლმეურნეობები, სოფლები, ჩაის ფაბრიკები და სხვ., მაგრამ, უდროობის გამო, გულდაწყვეტილებს უარი უნდა გვეთქვა.

ჩაგვრჩა გულში მადლობით აღსავსე ლაკადას ტკბილი მოგონება და კიდევ ის ლექსი, რომელსაც კოხტა, მეგრულ ჰანგზე აწყობილს, ტკბილად მღეროდნენ ჩხოროწყუში.

ტექსტი ეკუთვნის ფოლკლორისტს ამხ. მამანტი კვირტიას და მე ჩემ თავს ნებას ვაძლევ მოვიყვანო აქ ერთი ტაეპი ამ ლექსიდან.

აღსდგა ხალხი საბჭოეთის
და მტერს მუსრავს წყება-წყებად,
სტალინური რწმენით მღერის:
„გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“

მთელს გზაზე მოვიმღეროდი ჩემს გუნებაში ამ სტრიქონებს და მეგონა, რომ მატარებლის ბორბალთა რიტმიც ამ ლექსის რეფრენს იმეორებდა:

„გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“

# ა ხ ა ლ ი  ძ მ ა

### (საბავშვო მოთხრობა)

### როდიონ ქორქია

I.

ერთი ხანია, სანდრო დაღონებული და გულდამწვარი დადის. აბა როგორ არ დაღონდეს! გივის, შოთას, თინას, ქეთოს,—ყველას, ყველას ჰყავს ფრონტზე ან მამა, ან ძმა, ან და, ან ბიძა. სანდროს კი არავინა ჰყავს. მამა დაიწუნეს, უვარგისიაო, ბიძას ფინეთის ფრონტზე მოსტეხეს ხელი. უფროს დას ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია საექიმო ფაკულტეტი. თვითონ სანდრო მხოლოდ მეორე კლასშია.

სკოლაში, დასვენებაზე, შეიკრიბებიან მოწაფეები და არის ერთი დევ-გმირობის ამბები.

— ჩემმა ძმამ მტრის სამი ტანკი გაანადგურა...

— მამაჩემმა ფაშისტების ხუთი თვითმფრინავი ჩამოაგდო... რაო? სად სწერიაო? აი წაიკითხეთ გაზეთი, გაზეთში სწერია.

— ბიძაჩემმა რა ჰქნა, ბავშვებო? რა ჰქნა? მიუშვა მტერი, მიუშვა ახლოს და დაუშინა ტყვიამფრქვევი. სულ მერხივით დააგორა ფაშისტები. მთელი როტა.

— ჩემმა დამ, იცით, რა გმირობა ჩაიდინა? რომელმა? კატომ, აი სკოლაში რომ დავყავდი, როცა პატარა ვიყავი. ის ხომ ექიმია! ჰო-და დაჭრილი გამოიყვანა ბრძოლიდან. დედა არ მომიკვდეს!

სანდრო ყურს უგდებდა ამხანაგებს და შურდა. ყველას თავი მოჰქონდა გმირი მამებით, ძმებით, დებით. მას კი სალაპარაკო არა ჰქონდა-რა. არავინ ჰყავდა ფრონტზე. შავთვალა ნანამ ერთხელ დასცინა კიდეც: ფრონტის ცუდოსანი ხარო...

II.

დასვენების ზარი დარეკეს და მოწაფეებიც ჟივილ-ხივილით გამოიშალნენ დერეფანში. ზოგი მღეროდა, ზოგი თამაშობდა, ზოგი ხტოდა, დერეფანში ერთი ორომტრიალი იდგა. მაგრამ სანდრომ კარგად შენიშნა, რომ დერეფნის ბოლოში ნანამ ერთი ჯგუფი შემოიკრიბა და რაღაცას აღტაცებით უამბობდა.

დერეფანში თანდათან სიჩუმე ჩამოვარდა, ნანას აღგზნებული თვალებით უყურებდნენ. ზოგს სალოკი თითი ჩაედო პირში და მისჩერებოდა ნანას. ზოგს ჰაერში გაეშალა ხელები და გარინდებულიყო. ზოგს ნიკაპი ჩაედო ხელებში და წარბები ზევით აეზიდა. ნანა კი ხელებს იქნევდა, თავს არხევდა, თმას ისწორებდა და ისეთის გატაცებით ლაპარაკობდა, გეგონებოდათ, თმაში ჯვარედინად აკრული ბანტიც კი მონაწილეობას იღებსო ამბავში.

ამბავი კი წარმტაცი იყო.

— იცით, ბავშვებო, რა ჰქნა მამაჩემმა? ვერავინ მიხვდება, ვერავინ... გუშინ წერილი მიიღო დედამ. როგორ გაეხარდა დედას! ჯერ იტირა, იტირა, მერე კი სიცილი დაიწყო. თურმე მამაჩემს ოცი ფაშისტი ეცა. ესროლა მამამ ყუმბარა და ოცი ფაშისტი მოჰკლა. კიდევ ესროლა და კიდევ ხუთი მოჰკლა... დედა არ მომიკვდეს, ასე ეწერა წერილში. მერე თოფით დაიწყო ბრძოლა. სულ გასწყვიტა მტერი. ოცი ფაშისტი, ოცი. მე იმდენჯერ წავიკითხე წერილი, რომ სულ გავიზეპირე. ჰო, სულ... აბა, ოცი ფაშისტი მოვსპეო და ასე უნდა მოვსპოთ ყველა ფაშისტიო, სწერს მამა...

ნანამ მუშტები შეჰკრა და ერთმანეთს დაარტყა ისე გულიანად, თითქოს მასაც მიეღოს მონაწილეობა ოცი ფაშისტის გაჟლეტაში...

იმ დღეს ნანა სკოლის გმირი გახდა. არა მარტო მისი კლასელები, მთელი სკოლის მოწაფეები უთითებდნენ ნანაზე და ამბობდნენ:

— ესაა ის ნანა, რომლის მამამაც ოცი ფაშისტი მოსპო?

— ყოჩაღ, ნანა, როგორი მამა გყოლია! არ შემოუშვებს ფაშისტებს.

— გენაცვალე, ნანა, მოდი, გაკოცო! ჩვენი მადლობა შეუთვალე მამაშენს...

— მოდი, ნანა, ბანტი გაგიკეთო, თმა ჩამოგშლია.

განსაკუთრებით თავი მოსწონდათ მეორე კლასელებს. ესახელებოდათ, რომ სწორედ მეორე კლასში იყო ნანა და არა მესამეში. იმ დღეს მეორე და მესამე კლასებს შორის ჩვეულებრივი გამოჯავრება არა ყოფილა. ყველამ ბუნებრივად მიიჩნია დაზავება და დამეგობრება. ნანას მამის აჩრდილი უხილავად დადიოდა კლასებში და თან დაჰქონდა სულიერი სიმშვიდე და ამაყი რწმენა, რომ საბჭოთა მამები დაიცავენ საბჭოთა შვილებს.

სანდროსაც დაუარა საერთო სიხარულმა, მაგრამ კარგად ხედავდა სანდრო, რომ განსაკუთრებული ხალისით იმათ ეჭირათ თავი, ვისაც მამა, ძმა ან სხვა ახლო ნათესავი ჰყავდა ფრონტზე.

ჩქარა, სკოლიდან გამოსვლისას, სანდროს ისევ დასწყდა გული. ეჰ, დიდი მაინც იყოს სანდრო: თავათ წავიდოდა ომში. იომებდა მამის მაგივრად. ახლა კი იცადე, სანამ გაიზრდები. ხოლო მანამდე ყველა ფაშისტს გასწყვეტენ ნანას მამა და მისი ამხანაგები. ეჰ!

III

მასწავლებელს არ გამოეპარა სანდროს დაღონება. ერთხელ ხელი მოხვია, გაინაპირა და ჰკითხა:

— რა არის, სანდრო, რომ დაღონებული ხარ? გტკივა რამე?

— არა, — უპასუხა სანდრომ.

— ეგებ დაგეკარგა რამე?

— არაფერი დამკარგვია.

— ეგებ გეჩხუბა ვინმე?

— მივატოვეთ ჩხუბი.

— დედა ხომ არ გყავს ავად ან მამა?

— არავინ

— ეგებ დაგიჭრეს ვინმე ფრონტზე ან მოგიკლეს?

სანდრო მოიღუშა. რა იცის დეიდა მარომ, როგორ ჭრილობას შეახო ხელი?

— რა ვუყოთ მერე, ჩემო სანდრო?—დაამშვიდა მასწავლებელმა. — ფრონტზე ხომ ომია? ომში ყველა ხომ არ გადარჩება?

— მე არავინა მყავს ომში. ყველას ჰყავს ომში ვინმე და მე არა მყავს, არავინ მყავს, მასწავლებელო...

ბავშვი ატირდა. მასწავლებელი მიუხვდა და ისევ მოხვია ხელი.

— ეგ გაღონებს, სანდრო? შენც შეგიძლიან მონაწილეობა მიიღო.

სანდრომ გაკვირვებით შეხედა. ალბათ, ხუმრობს გუნებაზეა დღეს მასწავლებელი.

— ჰო, შენც შეგიძლიან ომში მონაწილეობა მიიღო, — განაგრძო მასწავლებელმა ისეთი კილოთი, რომ იჭვი არ შეიძლებოდა, მასწავლებელი არ ხუმრობდა.

როცა მასწავლებელმა საუბარი დაამთავრა, სანდროს უკვე აღარ ჰქონდა მოღუშული სახე.

IV

ფაფუკი თოვლი რბილად ეცემოდა მიწაზე. თოვლის ფანტელებში სახლები, ხეები, ავტოები, ადამიანები ისე მოსჩანდნენ, თითქოს ვეებერთელა დოლბანდს იქით ყოფილიყვნენ. მიჰქრის სანდრო სკოლისაკენ. ზურგზე ჩანთა მოუგდია. პალტოს საყელო აუწევია. ქუდი უკან გადაუწევია. მიჰქრის და თან ვიღაცას ელაპარაკება, თითქოს ის ვიღაცა გვერდით მისდევსო.

— მაშ, მაშ, ყველაფერი ისე იქნება, ყველაფერი, როგორც შენ გინდა. აი ნახავ, თუ არ იქნება ისე. დედა არ მომიკვდეს, ისე იქნება. განა შენ მოგატყუებ?

— ვის ელაპარაკები, სანდრო?

სანდრომ მიიხედა. დათოვლილი, შავთვალა ნანა უცინოდა.

სანდრო შედგა და ამაყად უთხრა:

— ჩემს ძმობილს, ჩემს ახალ ძმას, ფრონტზე რომ იბრძვის...

— როგორ? შენ რომ ძმა არა გყავს? — გაიცინა ნანამ და ტუჩებზე თოვლის ფიფქი დაადნა.

— დიაღაც რომ მყავს! აი წაიკითხე, თუ არა გჯერა.

სანდრომ უბიდან წერილი ამოიღო. მსხვილი, მრგვალი, გადაბმული ასოები ძმებივით ჩამწკრივებულიყვნენ და ამბობდნენ:

„ჩემო ძვირფასო ძამიკო სანდრო!

დრო ცოტა მაქვს და ცოტას გწერ. ესაა ბრძოლა გათავდა, ფაშისტებისაგან გავანთავისუფლეთ სოფელი და ვისვენებთ. მე კარგად ვიომე, თუმცა ძალზე ყინავდა, მაგრამ მიშველა შენმა საჩუქარმა, ჩემო სანდრო, სწორედ სულზე მომისწრო, თორემ თითებს მიმიყინავდა თოფზე. რა თბილი ხელთათმანი გამომიგზავნე? ისე გამითბო თითები, რომ ერთი ტყვია არ დამიცდენია. ძალიან გამახარა აგრეთვე შენმა პატარა წერილმა. შენი გულის დარდიც გავიგე. ამიტომ იცოდე: შენც გყავს ფრონტზე ძმა. ეს ძმა მე ვარ. მე არ შეგარცხვენ, შენც არ შემარცხვინო, ჩემო ძამიკო! ნახვამდის, მეტს ვერა გწერ. ისევ იწყება ბრძოლა.

შენი ძმა ნიკო“.

ფაფუკი თოვლი რბილად ეცემოდა მიწაზე. მტკიცედ და ხალისიანად მიაბიჯებდა სანდრო. ღიმილით ეუბნებოდა ნანას:

— ახლა ჩემი ძმა უშენს და უშენს ფაშისტებს. ნეტავი ჩქარა ვნახავდე, როგორია ჩემი ახალი ძმა?

# სამამულო ომი და კომპოზიტორები

ამ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში შედგა საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც დიდი ყურადღება მიაქცია ახალი საბრძოლო სიმღერის შექმნის საკითხს. ფრონტი მოითხოვსო სიმღერებს დიდ ადამიანურ გრძნობებზე, მეგობრობაზე, მშობლიურ სიყვარულზე, ოჯახზე; ფრონტი საჭიროებს მხიარულ გამამხნევებელ ჰანგებსო.

პლენუმზე წამოიჭრა საკითხი აგრეთვე იმაზე, თუ როგორია და როგორი უნდა იყოს კომპოზიტორის საზოგადოებრივი სახე, პლენუმის მონაწილეთა დასკვნით, თუ დ. შოსტაკოვიჩმა შესძლო ჩვენი ეპოქის ისეთი დიადი ნაწარმოების შექმნა, როგორიც არის მეშვიდე სიმფონია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან თავის პირად მაგალითით გვიჩვენა სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული.

პლენუმის დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ხრაპჩენკომ, რომელმაც მიმოხილვა გაუკეთა სამამულო ომის პერიოდში კომპოზიტორების მიერ გაწეულ მუშაობას და შეჩერდა კომპოზიტორების წინაშე მდგარ ახალ ამოცანებზე. ხრაპჩენკომ მოუწოდა კომპოზიტორებს შექმნან გმირული საბრძოლო სიმღერები იმ ადამიანურ გრძნობათა მრავალფეროვანი და მრავალმხრივი სამყაროს ამსახველი, რომლებითაც ამჟამად შეპყრობილია მთელი ჩვენი ქვეყანა. პირველყოვლისა, სიმღერამ უნდა გამოხატოს ის დიდი ადამიანური გრძნობა, რომელიც გამოწვეულია ომით, საზიზღარი მტრის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიადი ბრძოლით. ამხ. ხრაპჩენკომ გააფრთხილა კომპოზიტორები, არ გაიტაცონ ინტიმურმა ლირიკამ, გულმაჩუყებელმა სენტიმენტალიზმმა, მშვიდობიანმა განწყობილებებმაო. დღეს ჩვენ გვჭირია, — სთქვა ამხ. ხრაპჩენკომ, — ვაჟკაცობის ლირიკა, ბრძოლის ლირიკაო.

პლენუმმა დიდის აღფრთოვანებით მიიღო მისალმების დეპეშა ამხანაგ სტალინისადმი.

# „ლენინგრადის ახალგაზრდობა“

გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“ ამ სათაურით გამოსცა მოთხრობების, ნარკვევების და ლექსების კრებული, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს იმ მხრივ, რომ მასში არ არის არცერთი გამოგონილი ამბავი და მოთხრობილია მხატვრულად დამუშავებული ნამდვილი ფაქტები სამამულო ომის ფრონტებზე, როგორც გმირულად დაღუპული, ისე ამჟამად მებრძოლი ახალგაზრდების ცხოვრებიდან. კრებულში ასახულია წინათ ქარხანა „ბოლშევიკში“ მომუშავე კომკავშირელების ლეონიდ კოროტკიხის და კოზლოვის, აგრეთვე ლუგანელი პარტიზანის, 13 წლის კოლია ლ—ის საარაკო გმირობა. სამივე ეს ახალგაზრდა თავგანწირულად იბრძოდა და გმირულად დაიღუპა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. კრებულში წარმოდგენილი არიან აგრეთვე იჟორელი და კიროველი ახალგაზრდები ლევ ნიკოლსკი, მჭედელი ქალიშვილები მარია სილინა და დუსია სერგეევა, ხელოსანი ტომ კულნევი, ახალგაზრდა პარტიზანი ოლეგ ნ—ი და ბევრი სხვა ახალგაზრდა, რომლებიც ეხლაც ვაჟკაცურად იბრძვიან ფრონტსა და ლენინგრადის ზურგში. წიგნში მოთავსებული მოთხრობები და ნარკვევები იწერებოდა ფრონტზე, ყუმბარებისა და ბომბების გრიალში.

# „ბრძოლის ველზე“

მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობამ (მოსკოვი) გამოსცა მწერალი ქალის ს. ზარეჩნაიას წიგნი „ბრძოლის ველზე“, სადაც მოთხრობილია საბჭოთა ქალების, წითელარმიელის შინელში ჩაცმული საბჭოთა ქალიშვილების გმირული ამბები. მკითხველის აღტაცებას იწვევს ავტორის მიერ ცოცხალი ენით გადმოცემული მრავალი ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა თავდაუზოგველობას იჩენდნენ საბჭოთა ქალიშვილები, რომ ყუმბარებისა და ტყვიის წვიმებში ფრონტის მოწინავე ხაზიდან გამოეყვანათ და დახმარება აღმოეჩინათ დაჭრილ მებრძოლებისათვის.

# ბ ე რ ლ ი ნ ი ს  ა ღ ე ბ ა

### ალფონს დოდე

მე და ექიმი ვ... შან-ელისეს პროსპექტს მივუყვებოდით და ალყაშემორტყმული პარიზის ამბავს ყუმბარებით დახვრეტილ კედლებს და დამსხვრეულ ტროტუარებს ვეკითხებოდით. ეტუალის მოედანს რომ ვუახლოვდებოდით, ექიმი შეჩერდა და საზეიმო თაღის გარშემო დიდებულად ჩამწკრივებულ უზარმაზარ სახლებს შორის ერთი კუთხის სახლი დამანახვა.

— ხედავთ ზემოთ,—მითხრა მან,—იმ ოთხ დაკეტილ ფანჯარას აივანზე? აგვისტოს პირველ დღეებში, უკანასკნელი წლის აგვისტოს, ვაი-უბედურებით სავსე ამ საშინელ თვეში, დამბლად-დაცემულ ავადმყოფთან მიმიწვიეს. დამბლა დასცემოდა პოლკოვნიკ ჟუვს, პირველი იმპერიის აბჯროსანს, დიდებითა და პატრიოტიზმით გამსჭვალულ მოხუცს, რომელიც ომის დაწყებისთანავე შან-ელისეზე დაბინავდა, აივნიან სახლში... ხომ მიხვდით, რატომ? ჩვენი გამარჯვებული ჯარის საზეიმო შემოსვლის საყურებლად. საბრალო მოხუცი! ვისანბურის ამბავი მაშინ გაიგო, როდესაც სუფრიდან დგებოდა. ამ დამარცხების ბიულეტენის ქვეშ ნაპოლეონის სახელი რომ ამოიკითხა, პოლკოვნიკი ჟუვი ისე დავარდა, თითქოს მეხი დაეცაო.

ძველი აბჯროსანი ნოხზე დამხვდა, გრძლად გაჭიმული, სახეგასისხლიანებული და გონებადაკარგული, თითქოს თავში კეტი დაურტყამთო. ზე ამდგარი იგი ძალიან მაღალი უნდა ყოფილიყო, დაწოლილიც კი უზარმაზარი სჩანდა. მშვენიერი სახე, საუცხოო კბილები, ხუჭუჭა, თეთრი, სქელი თმა ჰქონდა. ეს ოთხმოცი წლის მოხუცი სამოცი წლისა გეგონებოდათ. მის მახლობლად დამხვდა მისი შვილიშვილი, დაჩოქილი, იგი ცხარე ცრემლებს ღვრიდა. ეს ქალიშვილი პაპას ჰგავდა.

ამ ბავშვის მწუხარებამ ამაღელვა. მამამისიც ჯარისკაცი იყო და მაკ-მაგონის შტაბში მსახურობდა. აქ გაშხლართული ამ დიდი მოხუცის სახე ახალგაზრდა ქალის გონებაში არანაკლებ საშინელი მამის სახეს იწვევდა. ქალიშვილი დავამშვიდე, რამდენადაც შემეძლო, გულში კი მცირე იმედი მქონდა. დამბლა ნახევარ სხეულს დასცემოდა. ოთხმოცი წლის ადამიანი ამას იშვიათად გადაიტანს. მართლაც, სამი დღის განმავლობაში ავადმყოფი იმავე უძრავ და გაშეშებულ მდგომარეობაში იყო. რეშოფენიდან ამბავი პარიზში მაშინ მოვიდა. გეხსომებათ, როგორ უცნაურად მოხდა ეს. საღამოზე ჩვენ, ყველანი, დარწმუნებული ვიყავით, რომ დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ. ოცი ათასი გერმანელი გავანადგურეთ, ტახტის მემკვიდრე ტყვედ ჩავიგდეთ. არ ვიცი, რა სასწაულით, რა მაგნიტური დენით მოაღწია ამ ეროვნული სიხარულის გამოძახილმა ჩვენს საწყალ ყრუ-მუნჯამდე, გაშეშებულ, დამბლადაცემულ მოხუცამდე. ეს კი ნამდვილია, რომ იმ საღამოს, როცა მის საწოლს მივუახლოვდი, იგი სულ გამოცვლილი დამხვდა. თვალში ოდნავ სინათლე მოსცლოდა, ენაც ოდნავ ახსნოდა. ძალა მოიკრიბა და გამიღიმა, თან ორჯერ ენის კიდებით სთქვა:

— გა-მარ-ჯვება!

— დიაღ, პოლკოვნიკო, დიდი გამარჯვება!

დაწვრილებით მაკ-მაგონის დიდ წარმატებაზე რომ ვუამბობდი, ვხედავდი, როგორ უბრწყინდებოდა სახე, როგორ იღებდა ჩვეულებრივ გამომეტყველებას...

როდესაც გამოვედი, ახალგაზრდა ქალიშვილი კარზე მომდგარი მიცდიდა. გაფითრებული ქვითინებდა.

— მაგრამ ბაბუა ხომ გადარჩენილია! — ვუთხარი და ხელზე ხელი მოვკიდე.

უბედურმა ბავშვმა ძლივს გამცა პასუხი, ის იყო გამოაცხადეს რეშოფენის ნამდვილი ამბავი; მაკ-მაგონი გაქცეულა, მთელი არმია განადგურებულია. თავზარდაცემულებმა შევხედეთ ერთმანეთს. ქალიშვილს მამის მდგომარეობა სასოწარკვეთილებაში აგდებდა. მე კი ამ მოხუცის გამო ვკანკალებდი. უეჭველია, ამ ახალ ელდას ვერ გაუძლებს. შეგვენარჩუნებინა მისთვის სიხარული, ილუზია, რომელმაც ის გამოაცოცხლეს? მაგრამ მაშინ ხომ ტყუილი უნდა გვეთქვა...

— კარგი, ტყუილს ვიტყვი...—მითხრა გმირმა ქალიშვილმა ცრემლების წმენდით და სახეგაბრწყინვებული ბაბუას ოთახში შევიდა.

ქალიშვილმა ძალიან მძიმე ამოცანა იკისრა. პირველ დღეებში გაჭირვებას თავს აღწევდა. მოხუცს ჯერჯერობით გონება სუსტი ჰქონდა და ბავშვივით მისი მოტყუილება ადვილი იყო. მაგრამ ჯან-ღონის დაბრუნებასთან ერთად გონებაც უნათლდებოდა. არმიების მოძრაობა შვილიშვილს ყოველთვის უნდა სცოდნოდა, მოხუცისთვის სამხედრო ბიულეტენები უნდა დაეწერა. საცოდავი სანახავი იყო ეს მშვენიერი ბავშვი, დღე და ღამე გერმანიის რუკაზე თავდახრილი. ზედ პატარა დროშებს არჭობდა. ცდილობდა შეედგინა სახელოვანი ლაშქრობა: საფრანგეთის მარშალი ბაზენი ბერლინზე მიდის, ფრანგი გენერალი ფროსარდი ბავარიაშია, მაკ-მაგონი ბალტიის ზღვისაკენ მიიწევს. ამის შესადგენად ქალიშვილი რჩევას მე მკითხავდა, მეც ვეხმარებოდი, რაც შემეძლო, მაგრამ განსაკუთრებით თვითონ ბაბუა გვეხმარებოდა ამ შეთხზული ლაშქრობის მოსაწყობად მტრის ქვეყანაში. პირველი იმპერიის დროს რამდენჯერ დაუპყრია მას გერმანია! ყველა შეტევა წინასწარ იცოდა:

— ახლა აი ასე წავლენ... აი რას გააკეთებენ...

მისი წინასწარმეტყველება ყოველთვის მართლდებოდა, რითაც იგი ამაყობდა.

სამწუხაროდ, ამდენი ქალაქების აღება, ამდენი ბრძოლის მოგება ფუჭი გამოდგა. ვერასოდეს ისე ჩქარა ვერ მივდიოდით, როგორც მოხუცს უნდოდა. იგი კმაყოფილი არ იყო. ყოველდღე, მოსვლისთანავე ჩვენი ჯარის წარმატებას გავიგებდი ხოლმე:

— ვიმარჯვებთ! ვიმარჯვებთ! რვა დღეში ბერლინში შევალთ!

სწორედ იმ წუთს გერმანელები პარიზიდან რვა დღის სავალზე იყვნენ. ჩვენ ერთმანეთს ვეკითხებოდით, უმჯობესი ხომ არ იქნება მოხუცის პროვინციაში გადაყვანაო. როგორც კი იგი პარიზს გასცილდებოდა, საფრანგეთის მდგომარეობა ყველაფერს მიახვედრებდა. მე ჯერ კიდევ ძალიან სუსტად ვთვლიდი, დიდი ელდისაგან იგი ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ გამობრუნებული იმისათვის, რომ სიმართლე გაეგო. გადასწყდა პარიზში დავრჩენილიყავით.

ალყის შემორტყმის პირველ დღეს მათთან ავედი, მახსოვს, ძალიან აღელვებული, ნაღვლიანი იმის გამო, რომ პარიზის ყველა კარი ჩაკეტილი იყო, ბრძოლა მის კედლებთან ხდებოდა და ჩვენი გარეუბნები საზღვრებად გადაიქცნენ. მოხუცი საწოლზე წამომჯდარი დამხვდა, აღტაცებული:

— აბა, — მითხრა მან, — მაშ ალყის შემორტყმაც დაიწყო!

გაოცებულმა შევხედე:

— როგორ, პოლკოვნიკო, იცით კიდეც?

შვილიშვილი მომიბრუნდა:

— დიაღ, ექიმო... დიდი ამბავია... ბერლინის ალყის შემორტყმა დაიწყო.

ამას ამბობდა და თან საკერავიდან ნემსს იღებდა დინჯი, წყნარი სახით. შეუძლებელი იყო რაიმე ეჭვის შეტანა. სიმაგრეებიდან ზარბაზნების სროლას მოხუცი ვერ გაიგონებდა. უბედური, აოხრებული და აფორიაქებული პარიზის დანახვა მას არ შეეძლო. თავისი საწოლიდან იგი ხედავდა საზეიმო თაღის გვერდს და ოთახში, ლოგინის გარშემო, ლამაზად დაწყობილ პირველი იმპერიის ძველ მოსაგონარ ნივთებს, რომლებიც ავადმყოფის ილუზიას ჰკვებავდნენ: მარშალთა პორტრეტები, ბრძოლების სურათები, რომის მეფე ბავშვობაში, მერე კედელზე დიდი თაროები, რომლებზედაც ეწყო ნაპოლეონის დროინდელი ძვირფასი ნივთები, მედალიები, ბრინჯაოს ნაკეთობანი, მინის ხუფის ქვეშ სენტ-ელენის კლდე... პატიოსანი პოლკოვნიკი! გამარჯვების ეს ატმოსფერა გულუბრყვილო მოხუცს უფრო არწმუნებდა, ვიდრე ის, რის თქმაც ჩვენ მისთვის შეგვეძლო.

ამ დღიდან ჩვენი სამხედრო ოპერაციები უფრო გამარტივდნენ. ბერლინის აღებას მხოლოდ მოთმინება სჭიროდა. დროგამოშვებით, როდესაც მოხუცი მეტად მოიწყენდა, მას თავისი შვილის წერილს უკითხავდნენ. რასაკვირველია, ეს გამოგონილი წერილი იყო, რადგან პარიზში არაფერი არ შემოდიოდა, ხოლო მაკ-მაგონის ადიუტანტი, მამამისი, სედანის შემდეგ გერმანიის ერთ ციხე-სიმაგრეში გაგზავნეს. წარმოიდგინეთ ამ საბრალო ბავშვის სასოწარკვეთილება: ტყვედ ჩავარდნილ, ყველაფერს მოკლებულ მამისაგან არავითარი ცნობა არა ჰქონდა. იქნება ავად იყო, და ამ დროს ქალიშვილი იძულებული იყო მამა აელაპარაკებინა მხიარულ წერილში, მოკლე წერილში, აელაპარაკებინა ისე, როგორც შეეძლო ეს დაეწერა ლაშქრობაში მყოფ, დაპყრობილ ქვეყანაში სულ წინ მიმავალ ჯარისკაცს. ქალიშვილს ზოგჯერ ძალა უმტყუნებდა ხოლმე. კვირეების მანძილზე არავითარი ამბავი არ მოდიოდა, მოხუცი სწუხდა. მაშინ გერმანიიდან სწრაფად მოდიოდა წერილი, რომელსაც მხიარულად უკითხავდა მწოლიარე მოხუცს, თან ცრემლებს იკავებდა. პოლკოვნიკი დიდის ყურადღებით უსმენდა, ისეთი სახით იღიმებოდა, თითქოს ამბობდა, ეს საქმე კარგად გამეგებაო, იწონებდა, აკრიტიკებდა, ოდნავ გაუგებარს უხსნიდა. მაგრამ განსაკუთრებით მშვენიერი მაშინ იყო, როცა შვილს საპასუხო წერილებს უგზავნიდა:

„არ დაივიწყო, რომ შენ ფრანგი ხარ, — სწერდა ის. — ამ საწყალ ხალხს კეთილშობილად მოექეცი. მტრის ქვეყანას ნუ დაარბევ“.

და დარიგებას დასასრული არა ჰქონდა. მისი დარიგება ამაღელვებელი იყო: სხვის ქონებას გაუფრთხილდიო, მანდილოსნებს შესაფერი თავაზიანობით მოეპყარიო. ეს იყო დამპყრობელთათვის შედგენილი კანონთა კრებული მხედრული ღირსების დაცვის შესახებ. მოხუცი წერილში ჩაურთავდა თავის ზოგად შეხედულებებს პოლიტიკაზე, დამარცხებულებისათვის წასაყენებელ ზავის პირობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, ის ძალიან ბევრს არ ითხოვდა: „ომის ხარჯების ანაზღაურება და მეტი არაფერი... რაში გამოგვადგება, რომ მათ პროვინციები ჩამოვართვათ? რა გამოვა საფრანგეთისა და გერმანიის გაერთიანებით?“ ამას მტკიცე ხმით უკარნახებდა და მის სიტყვებში იგრძნობოდა იმდენი გულწრფელობა, ისეთი მშვენიერი პატრიოტული რწმენა, რომ ამის მოსმენის დროს შეუძლებელი იყო არ აღელვებულიყავით. ამ დროის განმავლობაში ალყის შემორტყმა, არა ბერლინისა, არამედ საუბედუროდ პარიზისა, უფრო და უფრო მძიმდებოდა... პარიზს სტანჯავდნენ საშინელი ყინვები, ყუმბარის დაშინა, ეპიდემიები, შიმშილი. მაგრამ ჩვენი ზრუნვით, ჩვენი მეცადინეობისა და იმ დაუღალავი სინაზის წყალობით, რომელიც მოხუცის გარშემო თანდათან მატულობდა, მას სიმშვიდე ერთ წამსაც არ დარღვევია. მისთვის სულ ბოლომდე თეთრ პურსა და ახალ ხორცს ვშოულობდით. რასაკვირველია, ამ საჭმელს მხოლოდ მოხუცი მიირთმევდა. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ მის საუზმეზე უფრო ამაღელვებელი რამე? ეს არის უმანკო, ეგოისტური საუზმე—მოხუცი თავის საწოლზეა, მოცინარი და დასვენებული. მკერდზე ხელსახოცი აქვს აფარებული. გვერდით შვილიშვილი უზის, საჭმლის ნაკლებობის გამო ოდნავ ფერმკრთალი, შველის პაპას ხელების მოძრაობაში, ასმევს წყალს, აწვდის იშვიათ კერძებს. ამ დროს კი, როდესაც გარეთ ჩრდილოეთის ქარი უბერავდა, ხოლო ფანჯრებთან თოვლის ფანტელები ირეოდნენ, ჭამით გახალისებული თბილ ოთახში მყუდროდ მოწყობილი მოხუცი აბჯროსანი იგონებდა ჩრდილოეთში ლაშქრობას და მეასეჯერ გვიამბობდა იმ საშინელ უკანდახევაზე რუსეთიდან. მაშინ მხოლოდ გაყინულ ბისკვიტსა და ცხენის ხორცს ვჭამდითო.

— გესმის, ჩემო პატარავ, ცხენის ხორცს მივირთმევდით!

დარწმუნებული ვარ, ქალიშვილს კარგად ესმოდა: ორი თვის განმავლობაში იგი მხოლოდ ცხენის ხორცს სჭამდა. დღითი დღე, რაც მოხუცის ჯანმრთელობა უმჯობესდებოდა, მით უფრო ძნელი ხდებოდა ჩვენი ამოცანა. ახლა ხელიდან გვეცლებოდა აზროვნებისა და სხეულის ნაწილების მოძრაობის უნარის დაკარგვა, რაც აქამდე ძალიან გვშველოდა. ორჯერ თუ სამჯერ მაიოს კარის არტილერიის საშინელმა ბათქმა მოხუცი შეახტუნა, მონადირის ძაღლივით ყურები სცქვიტა. იძულებული გავხდით გამოგვეგონებინა ბაზენის უკანასკნელი გამარჯვება ბერლინთან, თითქოს ამის აღსანიშნავად ისროდნენ ზარბაზნებს ინვალიდების სახლთან. მეორედ, მისი საწოლი ფანჯარას რომ მიადგეს, მოხუცმა კარგად დაინახა ნაციონალური გვარდიელები, რომლებიც გრანდ-არმეს პროსპექტზე იკრიბებოდნენ.

— ის რა ჯარია?—იკითხა მოხუცმა და თავისთვის ჩაიბურტყუნა: — შეიარაღება არ ვარგა!.. თავიც ცუდად უჭირავთ!

სხვა არაფერი მომხდარა, მაგრამ ამ დღეს მივხვდით, რომ დიდი სიფრთხილე გვმართებდა. საუბედუროდ, საკმაო სიფრთხილე მაინც ვერ გამოვიჩინეთ.

ერთ საღამოს, მოხუცს რომ ვეწვიე, ქალიშვილი მომიახლოვდა, ძალიან აღელვებული იყო.

— ხვალ შემოდიან,—მითხრა.

პაპას ოთახი ღია იყო? ახლა მაგონდება, რომ იმ საღამოს მოხუცს სახის არაჩვეულებრივი გამომეტყველება ჰქონდა. იქნებ ჩვენს ლაპარაკს ყური მოჰკრა? გერმანელებზე ვლაპარაკობდით, ის კი ფრანგებზე ფიქრობდა, იმ საზეიმო შემოსვლაზე, რასაც დიდი ხანია ელოდა: ბუკ-ნაღარის ხმაზე მაკ-მაგონი გაივლიდა ყვავილებით მოფენილ პროსპექტს. მოხუცის შვილი მარშლის გვერდით იქნებოდა, ხოლო თვითონ პოლკოვნიკი ჟუვი, აივანზე დადგებოდა, საუკეთესო ფორმაში გამოწყობილი და, როგორც ლუტზენში, დახვრეტილ დროშებსა და თოფის წამლისაგან გაშავებულ ალმებს მიესალმებოდა.

საწყალი მამა ჟუვი! მან წარმოიდგინა, თითქოს ჩვენ არ გვინდოდა, რომ იგი ფრანგთა ჯარის შემოსვლას დასწრებოდა და დიდი აღელვება განეცადა. ამიტომ ამაზე ლაპარაკს ერიდებოდა. მაგრამ მეორე დღეს, როდესაც გერმანელთა ბატალიონები მაიოს კარიდან ტიულერამდე მიმავალ გრძელ პროსპექტს ნელა მოჰყვებოდნენ, ზემოთ წყნარად გაიღო ფანჯარა და აივანზე გამოჩნდა აბჯროსანი დიდებულ ტანისამოსში გამოწყობილი. ჩაჩქანიანი პოლკოვნიკი თავისი დიდი მახვილით. ახლაც ვეკითხები თავს, რა ნებისყოფის დაძაბვამ, რა სიცოცხლის ძალამ წამოაყენა იგი ფეხზე და ასე აღჭურვა იარაღით. მოხუცი მოაჯირს მიადგა. უკვირდა, რატომ დახვდა დაკეტილი სახლების დარაბები, ასე მდუმარე განიერი პროსპექტი. საშინელი პარიზი უზარმაზარ ლაზარეთად გადაქცეულიყო. ყველგან დროშებს ხედავდა, რაღაც უცნაურ დროშებს, სულ თეთრს, წითელჯვრიანს, და ჩვენს ჯარისკაცებს წინ არავინ არ მიუძღოდა.

ერთ წამს მოხუცს ეგონა, რომ შესცდა. მაგრამ არა, საზეიმო თაღის უკნიდან რაღაც გაურკვეველი ხმაურობა ისმოდა, შავი ხაზი წინ მოიწევდა გარიჟრაჟზე... მერე ნელ-ნელა ზუჩების წვეტები აპრიალდნენ, იენის პატარა დოლები არაკრაკდნენ და ეტუალის თაღის ქვეშ ოცეულების მძიმე ნაბიჯთან, ხმლების ჩხარუნთან შეწყობილმა შუბერტის მარშმა დაიგრიალა...

მაშინ მოედნის სევდიან დუმილში გაისმა ძახილი, საშინელი ძახილი:

— იარაღი აისხით! იარაღი აისხით! გერმანელები!

და ავანგარდის შუბოსნებს შეეძლოთ ზემოთ, აივანზე დაენახათ ბუმბერაზი მოხუცი, რომელმაც ხელები გაიქნია, დაბარბაცდა და უსულოდ დაეცა.

ამჯერად პოლკვნიკი ჟუვი ნამდვილად მკვდარი იყო.

თარგმანი ფრანგულიდან
იროდიონ ქავჟარაძისა.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე,
გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის 1. № 28.
უე 7645